ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

IV საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია

"სივრცე, საზოგადოება, პოლიტიკა – საქართველო და სამხრეთ კავკასია გლობალური გამოწვევების პირისპირ"

მიძღვნილი ივანე ჯავახიშვილის **140** წლისთავისადმი

23-25 ივნისი, **2016**

ოჯახის მხარდაჭერის პოლიტიკა საქართველოში:

პრობლემები და მათი გადაწყვეტის გზები

თენგიზ ვერულავა
მედიცინის აკადემიური დოქტორი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

აბსტრაქტი

საქართველოში ბოლო ათწლეულების მანძილზე შეინიშნება მძიმე დემოგრაფიული მდგომარეობა. საქართველოში 2014 წელს ჩატარებული მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შედეგების თანახმად, საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა 3 729 635 ადამიანს შეადგენს. აღსანიშნავია, რომ 2002 წელს ჩატარებული აღწერის შედეგად საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა შეადგენდა 4 371 535 ადამიანს. აქედან გამომდინარე, 2002 წელთან შედარებით, საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა 14,7%-ით (641 900) შემცირდა.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ ჩატარებული კვლევების მიხედვით, არსებული დემოგრაფიული ტენდენციების შენარჩუნების შემთხვევაში, 2050 წლისათვის საქართველოს მოსახლეობა 2, 985 000 ადამიანამდე (32%-ით 2014 წელთან შედარებთ) შემცირდება.

საქართველოში არსებული მძიმე დემოგრაფიული მდგომარეობა განპირობებულია შობადობის დაბალი მაჩვენებლებით, სიკვდილიანობის მაჩვენებლის ზრდით, მოსახლეობის დაბერების ტენდენციით. არასახარბიელო დემოგრაფიულ მდგომარეობას ხელს უწყობს ქვეყანაში არსებული მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა, უმუშევრობა, მაღალი მიგრაცია, აბორტების მაღალი მაჩვენებელი.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით სათანადო სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება. ამ მხრივ, ქვეყანაში არსებული დემოგრაფიული პრობლემების მოგვარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მექანიზმს წარმოადგენს ოჯახის მხარდაჭერის პოლიტიკა.

ოჯახის მხარდაჭერის პოლიტიკა გულისხმობს სახელმწიფოს მიერ ისეთი ღონისძიებების გატარებას, როგორიცაა: ოჯახის ფინანსური ხელშეწყობა და დახმარება, სამუშაოსა და ოჯახის შეთავსებისათვის შესაბამისი გარემოს შექმნა.

ოჯახის ფინანსური ხელშეწყობა გულისხმობს სახელმწიფოს მიერ შემდეგი ფინანსური ღონისძიებების გატარებას: ბავშვის/ოჯახის ფინანსური დახმარება, ბავშვის დაბადებასთან დაკავშირებით ერთჯერადი ფინანსური დახმარება, ბავშვის მზრუნველობასთან დაკავშირებული ხარჯების დაფარვაში დახმარება, საგადასახადო შეღავათების მინიჭება და ოჯახის ერთობლივი შემოსავლის დაბეგვრის განსახვავებული სისტემის შექმნა.

სამუშაოსა და ოჯახის შეთავსებისათვის შესაბამისი გარემოს შექმნა გულისხმობს სახელმწიფოს მიერ დეკრეტული შვებულების (ან ბავშვის მოვლასთან

დაკავშირებული შვებულების) შესაბამისი გარანტიების შემუშავებითა და ორივე მშობლისათვის აღნიშნული უფლებით სარგებლობის შესაძლებლობის მიცემით.

განხორციელებული კვლევები ადასტურებენ, რომ საქართველოში არსებული ოჯახის მხარდაჭერის პოლიტიკა ვერ უზრუნველყოფს დემოგრაფიული პრობლემების მოგვარებასა და მრავალშვილიანი ოჯახების სოციალური მხარდაჭერის სათანადო პირობების შექმნას და საჭიროებს გაუმჯობესებას ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების პრაქტიკის გათვალისწინებით.

საქართველოში არსებული მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის, შეზღუდული სახელმწიფო ბიუჯეტის გათვალისწინებით და შესაბამისად, სახსრების ეფექტურად გამოყენების მიზნით, მიზანშეწონილია სახელმწიფომ შეიმუშავოს დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამა, რომელიც გათვლილი იქნეს დაბალ და საშუალო შემოსავლიან ოჯახებზე და გავრცელდება მთელი ქვეყნის მასშტაბით.

Family Support Policy in Georgia: Problems and solutions

Tengiz Verulava

Abstract

In recent decades Georgia is in difficult demographic situation. According to the 2014 census, the population of Georgia amounted 3 729 635 people. It should be noted that as a result of the 2002 census of the population of. Thus, compared with 2002 census (4 371 535 people) population of Georgia is reduced by 14.7%. According to the United Nations studies, current demographic trends continue, by 2050 the population of Georgia will be reduced to 2, 985, 000 persons (in 32% compared with 2014 year).

Unfavorable demographic situation causes by low birth rates, mortality rates, an aging population. Such demographic condition in the country contributes to the poor economic situation, high level of unemployment and migration, also the high rate of abortions.

Given this, it is important to develop appropriate public policy. Family support policy means to provide: financial support and assistance to the family, create appropriate environment balance of the work and family. Family financial support include: the family financial assistance, one-time financial assistance in connection with the birth of the child, the cost of the assistance of child care, tax benefits granted to the family income taxation.